არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

NBGG

№ 263/3
13 აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისის მერიის
სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს
ბატონ კარლო ლაფერაძეს

ბატონო კარლო,

თქვენი 2016 წლის 22 თებერვლის 01-8/1082 წერილის (რეგისტრაციის #155; 25.02.2016წ.) პასუხად, რომლითაც ითხოვთ ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის პოზიციის დაფიქსირებას შპს „ფინსერვისი XXI" -ის მიერ, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.01.001.002) ფართის უცვლელად კონფიგურირებასთან დაკავშირებით, რომელიც თავის მხრივ, იწვევს ბოტანიკურ ბაღის (საკადასტრო კოდი: 01.18.02.001.017) ფართის უცვლელად კორექტირებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვხატავთ დადებით პოზიციას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ტერიტორიის ბაღისათვის შემოერთება გაზრდის ორგანიზაციის პოტენციალს ტურისტული თვალსაზრისით და ასევე, ხელს შეუწყობს მცენარეთა კოლექციის შევსებას.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ფართის კორექტირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი დანართი #1 კონფიგურაციის შესაბამისად.

*დანართი:* კონფიგურაციის გეგმა (CD დისკთან ერთად)

პატივისცემით,
თამაზ დარჩიძე
დირექტორი

13 01/3157-8
04.16

0114, თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა № 1
ტელ.: (995 32) 2 724 306; ელ-ფოსტა: info@nbgg.ge


W